## მთავარი მატჩი წინაა

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი;. 4. აპრილი.

“დინამო” (თბილისი) – “დინამო” (მოსკოვი) 0:2 (0:2).

თბილისი: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი (ჭილაია), თავაძე, დარასელია (კაკილაშვილი), სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, ჟვანია.

მოსკოვი: პილგუი, მენტიუკოვი, ნიკულინი, ნოვიკოვი, ბუბნოვი, მინაევი, მოლოდცოვი, ლატიში, ტოლსტიხი, მატიუნინი (პეტრუშინი), ვ. გაზაევი (აფოევი).

მსაჯი: ა. ტემეტევი (უჟგოროდი).

გაფრთხილებულია ნოვიკოვი.

მატჩს დაესწრო 65 ათასი მაყურებელი.

თითქმის ყველა რეკორდი, რაც კი საკავშირო ჩემპიონატებში არსებობს, ეკუთვნის მოსკოვის “დინამოს”: პირველი ადგილების რაოდენობა, გატანილი ბურთები, მოგებული მატჩები და ა.შ. ამ გუნდში თამაშობდნენ ჩვენი ფეხბურთის ბრწყინვალე ოსტატები. მართალია, ჩავარდნებიც იყო, გუნდმა მე–10 და მე–11 ადგილებიც კი დაიკავა, მაგრამ ეს მხოლოდ გამონაკლისს წარმოადგენდა. მოსკოვის “დინამო” მაინც უძლიერესი იყო უძლიერესთა შორის. თბილისის დინამოელებს არც ერთ გუნდთან არა აქვთ ისეთ უარყოფითი შედეგი, როგორც მოსკოვის თანაკლუბელებთან და ჩვენთან ამ არასახარბიელო ბალანსის გამოსწორებას ათეული წლები სჭირდება…

მოსკოვის “დინამო” 1976 წლის ჩემპიონობის შემდეგ სისტემატურად გადის IV-VI ადგილებზე და, ასე წარმოიდგინეთ, შარშან სენსაციური მე–14 ადგილიც კი დაიკავა. რა ზომებს არ მიმართავენ ამ გუნდში: ცვლიან მწვრთნელებს, ეძებენ მოთამაშეებს (სულ ახლახან ქუთაისის “ტორპედოდანაც” აიყვანეს აჯოევი), მაგრამ საჭირო პროგრესი არ ჩანდა. ამის ნათელი დამადასტურებელია, თუნდაც წლევანდელი შედეგები სსრ კავშირის ჩემპიონატში (1:1 “ყუბანთან, 0:1 – “ტავრიასთან”).

მაგრამ ყველაფერი ზემოთქმული მხოლოდ ფონია, თვით არსი კი გუშინდელ მატჩში გამოჩნდა – თანაკლუბელებმა ითამაშეს მაქსიმალური შესაძლებლობით, თავგამოდებით და მოსკოველები სულაც არ ჩანდნენ ისეთ გუნდად, რომელმაც ვერ შეძლო წარმატების მოპოვება “ყუბანთან” და “ტავრიასთან”. ეს მაინც მოსკოვის “დინამოა”.

მოსკოველებმა თავიდანვე ორ ტაქტიკურ ფანდს მიმართეს, რამაც როგორც შემდგომში გამოირკვა, მათ წარმატება მოუტანა. ჯერ ერთი, მკაცრი პერსონალური მეთვალყურეობა დაუწესეს თბილისელთა ყველაზე სახიფათო მოთამაშეებს: ყიფიანს მიამაგრეს ტოლსტიხი, გუცაევს – ნოვიკოვი და ჟვანიას – მენტიუკოვი, რომლებიც ფეხის მოუცვლელად, აჩრდილივით თან სდევდნენ მეტოქეებს და ყოველნაირად უშლიდნენ მათ ხელს აეწყოთ თამაში. ამას გარდა, სტუმრები ერთთავად იმის ცდაში იყვნენ, როგორმე შეენელებინათ მეტოქის მიერ აღებული მაღალი ტემპი და პოზიციურ პრინციპებზე გადაეყვანათ ბრძოლა. თუმცა, ეს პირვანდელი გეგმა იყო, შემდგომში მას დაემატა სწრაფი, მოულოდნელი კონტრშეტევები, სადაც მოსკოველთაგან მთავარ ფიგურას წარმოადგენდა გაზაევი. ეს ფეხბურთელი ტექნიკით მაინცდამაინც არ ბრწყინავს, მაგრამ განუწყვეტლივ მოძრაობს, იცვლის ადგილებს, სწრაფია და შეუძლია მოულოდნელად დაარტყას კარში.

თბილისელთა საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა ხშირად იმსხვრეოდა მოპირდაპირე საჯარიმო მოედანზე, სადაც მოსკოველთა დაცვას თავმოყრილი ჰყავდა მთელი ძალები, ტაქტიკურად გამართულად, დროულად მოქმედებდა მეკარე პილგუიც.

მოსკოველებმა პირველ ტაიმში ორივე გოლი სწორედ სწრაფი კონტრშეტევების წყალობით გაიტანეს: 26–ე წუთზე მათ წამოიწყეს იერიში და როცა ყველა ელოდა მის გაგრძელებას, მენტიუკოვმა ანაზდად და ძალზე ძლიერად დაარტყა. გაბელიამ ვერ შეძლო ბურთის აღება – 1:0.

მდგომარეობა ძალზე დაიძაბა, მასპინძლებს საგანგებო ზომები სჭირდებოდათ თანაფარდობის აღსადგენად, ამ დროს კი გაზაევმა ცენტრალურ ზონაში მიიღო შორეული გადაცემა, სწრაფად შეასრულა თავისი მანევრი და გაბელიას პირისპირ აღმოჩნდა – 2:0.

შესვენების შემდეგ თბილისელები თითქმის განუწყვეტლივ უტევდნენ, გოლის გატანის შესაძლებლობა ჰქონდათ ყიფიანს, დარასელიას, სულაქველიძეს, ჩივაძეს, მაგრამ მოსკოველთა დაცვა და მეკარე გაუვალი აღმოჩნდა, თავი იჩინა ზედმეტმა ნაჩქარეობამაც.

მოსკოველ თანაკლუბელებთან მატჩი წავაგეთ და ჩვენს უარყოფით ბალანსს კიდევ ერთი მინუსი მივუმატეთ. საწყენია, მაგრამ ახლა ეს არაა მთავარი: წინ 8 აპრილს, ევროპის თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალური მატჩი გვაქვს სათამაშო როტერდამის "ფეიენოორდთან" და ჩვენი გუნდი პესიმიზმს არ უნდა მიეცეს. მთელი ძალების მობილიზებაა საჭირო, რათა წარმატებით ვითამაშოთ კონტინენტის ასპარეზზე.

**ბ. ქორქია.**

**"ლელო", 5 აპრილი 1981 წ.**